განმარტება

1. გასასვლელი გზა-კიბეების მოწყობა გათვალისწინებულია **1027.1** ქვეთავის მოთხოვნის დაცვით, კერძოდ გასასვლელები გადის პირდაპირ შენობის გარეთ. შენობიდან გასასვლელები მდებარეობს მიწის დონეზე და უსაფრთხო და ჩაუხერგავი ბილიკით უზრუნველყოფს საზოგადოებრივ გზასთან პირდაპირ და დაუბრკოლებელ მისადგომს **1027.5** ქვეთავების მოთხოვნის შესაბამისად.
2. საპროექტო დოკუმენტაციით წარდგენილი საინჟინრო გაყვანილობები შესაბამისობაშია #41 დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. კერძოდ: შენობის თარაზული ანაწყობები და შენობაში არსებული ყველა შახტა, რომლებშიც განთავსებულია საცხოვრებელი ერთეულისთვის და შენობის სხვა ნაწილებისთვის საჭირო გაყვანილობები შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შემომზღუდავებით, რაც აკმაყოფილებს წესები **714** და **713.4** ქვეთავების მოთხოვნებს.
   აღნიშნულ არხებში მოწყობილია გაყვანილობები, რომლებიც საჭიროა დამოუკიდებელი განიავებისა ან წნევის წარმოქმნისთვის, სახანძრო მილდგარებისთვის, სახანძრო განყოფილების საკომუნიკაციო სისტემის ელექტროგაყვანილობისთვის.
   გზა-კიბეების შემომზღუდავებში არაა მოწყობილი ისეთი გაყვანილობები, რომლებიც არ არის აუცილებელი გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეების შემომზღუდავებისთვის **(1009.3.1.5.1 ქვეთავი)**
   შიგა გასასვლელი გზა-კიბეები შემომზღუდავ ცეცხლმედეგ კედლებში მოწყობილია მხოლოდ აუცილებელი გზასასვლელი კარები.
   ყოველივე შეესაბამება 1022.5 და 1023.6 ქვეთავების მოთხოვნებს.

არქიტექტორ-ექსპერტი:  თამარ ხუციშვილი

15.05.2024 წ.

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, ვარკეთილის ზემო პლატო, მიკრო / რაიონი II, კორპუსი #1-ის მიმდებარედ ს/კ 01.19.20.002.119-ზე დაპროექტებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

დამკვეთი: შპს ,,რასტა დეველოპმენტი“ ID 402144452

პროექტის მთავარი არქიტექტორი: გიორგი დათუკიშვილი ID 01008046553

თბილისი 2024

<u>საექსპერტო დასკვნა</u>

ქ. თბილისი, ვარკეთილის ზემო პლატო, მიკრო / რაიონი II, კორპუსი #1-ის მიმდებარედ ს/კ 01.19.20.002.119, დაპროექტებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის –შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებისა და 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტთან - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

საპროექტო დოკუმენტაცია შეადგინა არქიტექტორმა გიორგი დათუკიშვილმა. საპროექტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია.

- „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ “საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების საფუძველზე განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“;
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 ნოემბრის N498 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N732 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს შესახებ

საექსპერტო დასკვნა საქართველოს მთავრობის 2019 წლის №255 დადგენილების 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;
ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;
გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;
დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და

შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;

ვ) მისაწვდომობის შეფასებას;

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;

კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

მ) ავტოსადგომებისადმი მოთხოვნების შეფასებას.

საექსპერტო დასკვნის შესადგენად ექსპერტიზისათვის გადმოცემულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს:

1. ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის ობიექტის თაობაზე (აღნიშნული მოიცავს: თავფურცელს; ფურცლების ჩამონათვალს; პირობით აღნიშვნებს; დაგეგმარების მიზნის აღწერას; შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზს);

2. შენობა-ნაგებობის ტექნიკურ მაჩვენებლებს;

3. სიტუაციურ სქემას;

4. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალას;

5. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმას – 1:500 მ;

6. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილი საპროექტო ობიექტების გენერალურ გეგმას (გენ.გეგმა);

7. შენობა-ნაგებობების განთავსებასა და სიმაღლეებს;

8. გეგმებს, ჭრილებს, ფასადებს;

9. დეტალების ფრაგმენტულ ნახაზებს;

10. დაკავებულობისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გეგმებს (აღნიშნული მოიცავს: დაკავებულობის დატვირთვებს; გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობებს; გასასვლელებს; გასასვლელთან მისადგომებს; გასავლელებსა და

შენობიდან გამოსასვლელებს; გასასვლელამდე სავალ მაქსიმალურ მანძილებს; მისაწვდომობის სვლაგეზს; ცეცხლმედეგობის ხარისხიან მოთხოვნილ გამმიჯნავებს; გამოყენებულ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებს);

11. შენობის ვიზუალიზაციას

შენიშვნა: მოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

გადმოცემული მასალა აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2019 წლის №255 დადგენილების 47 მუხლის მიხედვით არქიტექტურული პროექტის შემადგენლობას და სრულად იძლევა საშუალებას ზემოაღნიშნული ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობას.

შინაარსი

წარმოდგენილია ქ. თბილისში, ვარკეთილის ზემო პლატო, მიკრო / რაიონი II, კორპუსი #1-ის მიმდებარედ (ს/კ 01.19.20.002.119) დაპროექტებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული ნახაზები. კვლევის მიზანია შესწავლილ იქნას არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა - ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებისა და 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტთან - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ის დადგენილებასთან შესაბამისობა და სისწორე.

განმარტება

საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 ნოემბრის N498 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ

სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

შენიშვნა: მოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

გადმოცემული მასალა აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2019 წლის №255 დადგენილების V თავის მიხედვით არქიტექტურული პროექტის შემადგენლობას და სრულად იძლევა საშუალებას ზემოაღნიშნული ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობას.

1. **ტერმინები და განმარტებები**

ტერმინი № 1- განმარტება

წესები - „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“
შშმ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

2. **პროექტის აღწერილობა**

დაგეგმარების მიზნის აღწერა:

საპროექტო შენობის დაგეგმარების საფუძველს წარმოადგენს, 2023 წლის 15 სექტემბრის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის N6664491 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. პროექტი მიზნად

ისახავს ქ. თბილისში, ვარკეთილის ზემო პლატო, მიკრო / რაიონი II, კორპუსი #1-ის მიმდებარედ (ს/კ 01.19.20.002.119) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაგეგმარებას მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, თანამედროვე გეგმარების პრინციპების და შენობა-ნაგებობების უსაფრხოების ნორმების გამოყენებით.

ტერიტორიის აღწერა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ვარკეთილის ზემო პლატო, მიკრო / რაიონი II, კორპუსი #1-ის მიმდებარედ ს/კ 01.19.20.002.119-ზე, მიწის ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო - სამეურნეო, საერთო ფართით - 1140 კვ.მეტრი. ტერიტორიაზე მოხვედრა შესაძლებელია საზოგადოებრივი სივრციდან - ქუჩიდან. მიწის ნაკვეთს დასავლეთით ესაზღვრება საზოგადოებრივი სივრცე - II მიკრო / რაიონის ქუჩა, ჩრდილოეთით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორია და საზოგადოებრივი სივრცე - საავტომობილო გზა - საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა, აღმოსავლეთით და სამხრეთით დაურეგისტრირებელი და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები.

პროექტი მიზნად ისახავს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტირებას. ტერიტორიულ - სტრუქტურული ზონირების მიხედვით ტერიტორია მდებარეობს გეგმარებით კარკასში (გკ) და ფუნქციური ზონირების მიხედვით საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-ში (სსზ-1). საპროექტო შენობა - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შედგება 9 მიწისზედა და 1 მიწისქვეშა სართულისგან.

სართულების აღწერა:

-3.00 ნიშნულზე დაგეგმარებულია ღია ავტოსადგომი - გარაჟი, +0.00 = 502.10 ნიშნულზე (1 სართული) დაგეგმარებულია კომერციული სივრცეები თავისი სველი წერტილებით და დამლაგებლის ოთახებით. +4.00 ნიშნულზე (2 სართული) დაგეგმარებულია 2 საოფისე სივრცე აივნებით და 4 საცხოვრებელი ბინა, +7.20 ნიშნულიდან +23.20 ნიშნულამდე თითო სართულზე დაგეგმარებულია 6 საცხოვრებელი ბინა, +26.40 ნიშნულზე დაგეგმარებული 5 საცხოვრებელი ბინა, აქედან ორი ბინა ტერასიანია. შესაბამისად დაცულია პროცენტული შეფარდება - სახოვრებელი 90%-ის და კომერციული 10%-ის შეფარდება.

საპროექტო შენობაში კიბის და ლიფტის შემომზღუდავები ორსაათიანი ხანძარმედეგობისაა, საოფისე და კომერციულ სივრცეში მოწყობილია შშმპ-ზე ადაპტირებული სველი წერტილები. პროექტში გათვალისწინებულია ა და ბ ტიპის საცხოვრებელი ბინები. კომერციული სივრცეებში შესვლა ხორციელდება +0.00 – 502.10 ნიშნულიდან, ხოლო საოფისე სივრცეებში მოხვედრა შესაძლებელია დერეფნით: კიბის უჯრედის და ლიფტის მეშვეობით.

საპროექტო შენობის სართულებზე გადაადგილება ხორციელდება ორი კიბით და შშმპ-ზე ადაპტირებული ლიფტით.

-1 სართულზე (-3.00 ნიშნული) დაგეგმარებული ღია ავტოსადგომი - გარაჟი, რომლის სამხრეთი და აღმოსავლეთი ფასადი (სადაც ორივე საევაკუაციო კიბის კარი გამოდის) გახსნილია, შესაბამისად ამ სართულზე არსებული ავტოსადგომი არ არის ავტოსაშხეფი სისტემით აღჭურვილი. პარკინგში გათვალისწინებულია 17 და ეზოში 2 მიწისზედა შშმპ-ის ავტოსადგომი.

საპროექტო შენობა რკინა-ბეტონის კონსტრუქციისაა, შენობა ფილის საძირკველზეა დაფუძნებული, სახურავი წარმოადგენს რკინა-ბეტონის ფილას, რომელზეც მოეწყობა ატმოსფერული ნალექის გადამყვანები და სადრენაჟე სისტემა. სართულებზე შემავსებლად გამოყენებული იქნება ენერგოეფექტური - იტონგის ბლოკები.

საპროექტო შენობის მოსაპირკეთებელ მასალებად გამოყენებულია კომპოზიტური პანელი - ალუკა ბონდი და დეკორატიული ლესვა / ღებვა.

-3.00 ნიშნულზე (-1 სართული) საპროექტო მიწის ნაკვეთის სამხრეთით ეზოში, შენობის დროებითი ენერგომომარაგებისათვის განთავსდება მიწისზედა გენერატორი.

საპროექტო შენობაში უნდა მოეწყოს:

1. სახანძრო მილდგარები განთავსდება NFPA14-ის ან საქართველოში აღიარებული სხვა სტანდარტების შესაბამისად;
2. შენობა აღიჭურვება საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემით, რომელიც დაგეგმარდება და დამონტაჟდება NFPA 72-ის ან საქართველოში აღიარებული სხვა სტანდარტის შესაბამისად;
3. შენობა აღიჭურვება კვამლაღმომჩენი სისტემით;

4. შენობა აღიჭურვება ცეცხლის ავტომატური აღმომჩენებით;
5. ელექტრომომარაგება, განათება და ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი მოწყობილებები, ლიფტები, გასასვლელი ნიშნები, გასასვლელი საშუალების განათება, ლიფტის კაბინის განათება, საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემები, ცეცხლის ავტომატურად აღმომჩენი სისტემები უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი სათადარიგო ელექტრომომარაგების სისტემებით - დიზელგენერატორის საშუალებით.
6. დერეფნებში დამონტაჟდება კვამლგამწოვი ვენტილაციის სისტემა.
7. ლიფტი დაწნევადი სისტემით.
7. საპროექტო მიწის ნაკვეთზე, გზასთან ახლოს განთავსდება სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი - ჰიდრანტი.

გამოკვლევა

1. **დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:**

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განსათავსებელი თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობებისთვის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას, დაკავებულობები არის კლასიფიცირებული მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება წესების **302-ე ქვეთავს.**
პროექტში გამოყენებულია სასაწყობო **(სწ-2)**, სავაჭრო **(სვ)**, საქმიანი **(სქ**) და საცხოვრებელი ჯგუფის **(სც-2)** დაკავებულობები, კერძოდ:

1. **სასაწყობო ჯგუფები სწ-2** დაკავებულობა (ღია ავტოსადგომი - გარაჟი -3.00 ნიშნულზე). **სწ-2** დაკავებულობისთვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - 18,6 – **1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს შესაბამისად **25**-ს.

ღია ავტოსადგომი - გარაჟი აკმაყოფილებს **406.6.1 – 406.6.3 ქვეთავების** მოთხოვნებს.
ავტოსადგომი გარაჟი ასევე აკმაყოფილებს წესების **406.9.3 ქვეთავის** მოთხოვნებს ავტოსადგომებზე ავტომობილისთვის განკუთვნილი ადგილის ზომებთან დაკავშირებით - თითოეული ავტოსადგომის ადგილის სიგანე მოთხოვნილ მინიმუმ 2.40 მეტრს, ხოლო ავტომობილისთვის განკუთვნილი პარალელური ადგილის სიგრძე შეადგენს მოთხოვნილ

მინიმუმს 5.00 მეტრს, ხოლო გასასვლელის მინიმალური სიგანე შეადგენს 5.50 მეტრს, რაც შეესაბამება **406.9.3.2** ქვეთავის და **406.9.4.3.1** ცხრილის მოთხოვნას.

2. **სავაჭრო ჯგუფი სვ** დაკავებულობა - კომერციული ფართები ±0.00 ნიშნულზე, წესების **309 ქვეთავის** მიხედვით მოიცავს ისეთი შენობებისა და ნაგებობების ან მათი ნაწილების გამოყენებას, სადაც გამოფენილია და იყიდება საქონელი, ასევე, განთავსებულია ამგვარი საქონლის მარაგი, ნაკეთობები და სავაჭრო საქონელი და მისაწვდომია საზოგადოებისათვის. სავაჭრო ჯგუფი მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილს, მაგრამ არა მხოლოდ მათ:

- აუქციონის დარბაზებს;
- აფთიაქებს;
- ბაზრებს/მარკეტებს;
- ბენზინ-გასამართს სადგურებს;
- საცალო და საბითუმო მაღაზიებს;
- უნივერმაღებს.

საპროექტო შენობის ±0.00 ნიშნულზე მოწყობილი კომერციული სავაჭრო ფართის დაკავებულობის დატვირთვა გაანგარიშებულია **1004 ქვეთავის, ცხრილი 1004.1.2** მიხედვით და გამოყენებულია: მიწისპირა იატაკების ფართობებისთვის არსებული ფაქტორი 2,8 მთლიანი.

3. **საქმიანი ჯგუფი სქ** - საოფისე ფართები ±0.00, +4.00 ნიშ-ზე, წესების **304.1 ქვეთავის** მიხედვით მოიცავს ამბულატორიულ კლინიკებს, ბანკებს, საფოსტო განყოფილებებს.

   სქ დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - 9.3, **1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით.

4. **საცხოვრებელი ჯგუფი სც-2** საცხოვრებელი ბინები: +4.00 ნიშნულიდან +26.40 ნიშნულამდე შეესაბამება **310.4-ე ქვეთავს,** რომელიც მოიცავს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებს, საცხოვრებელი ან საძინებელი ერთეულებით, სადაც დამკავებლები მუდმივად ცხოვრობენ.
   საცხოვრებელი ერთეულები დაგეგმარებულია წესების **1208 ქვეთავის** გათვალისწინებით, კერძოდ, თითოეული საცხოვრებელი ერთეული შეესაბამება **1208.1 ქვეპუნქტით** განსაზღვრულ ოთახის მინიმალური სიგანის მოთხოვნას (პროექტის

მიხედვით ოთახის მინ. სიგანე 2.65 მ). **1208 ქვეპუნქტით** განსაზღვრულ ჭერის მინიმალური სიმაღლის მოთხოვნას (პროექტის მიხ. მინ. სიმაღლე 2.85 მეტრი). დაგეგმარებული კომპაქტური ხანგრძლივი საცხოვრებელი ერთეულები - სტუდიოები აკმაყოფილებს წესების **1208.4 ქვეთავის** ყველა მოთხოვნებს, კერძოდ, საცხოვრებელი ოთახების ფართობი აღემატება მოთხოვნილ 20.5 $მ^2$-ს, ყოველ დამკავებელზე, თუ ორზე მეტია, თითოეულზე გათვალისწინებულია მინიმუნ 9,5 $მ^2$ დამატებითი იატაკის ფართობი. თითოეულ ერთეულს აქვს იზოლირებული ტანსაცმლის კარადა, სამზარეულოს ნიჟარა, საჭმლის მოსამზადებელი ქურა და მაცივარი და მათ წინ 80 სმ-ზე მეტი სივრცე, განათება და განიავება, ასევე დამოუკიდებელი სააბაზანო უნიტაზით, ხელსაბანი ნიჟარით და აბაზანით.

სც-2 დაკავებულობისათვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **18.6, 1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით.

საცხოვრებელი ერთეულები (ბინები) ერთმანეთისგან გამიჯნულია **ორსაათიანი** ცეცხლმედეგობის მქონე თარაზული ანაწყობით და **ერთ საათიანი** ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** და **420 ქვეთავში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დაკავებულობის ჯგუფების შერჩევა და ასევე მათი დატვირთვების გამოანგარიშება განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

2. **კონსტრუქციის ტიპების შეფასება:**

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით საპროექტო შენობისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღვრულია **721.1 ცხრილის** მიხედვით), შენობაში არსებული დაკავებულობის საფუძველზე და შენობის საპროექტო სიმაღლიდან გამომდინარე შენობისთვის განსაზღვრულია **I-B** კონსტრუქციის ტიპი.

პროექტის კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ საპროექტო შენობის ელემენტები (გარე და შიგა მზიდი კედლები, სართულშუა და სახურავი) აკმაყოფილებს **601 ქვეთავს** და **601 ცხრილის** მოთხოვნებს და შეესაბამება **I-B** კონსტრუქციის ტიპისთვის მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხს.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

კონსტრუქციული ტიპის შერჩევა განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

503 ცხრილის მიხედვით, საპროექტო შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციული **I-B** ტიპის მიხედვით დადგენილია შენობის დასაშვები სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი.
შენობის თითოეული სივრცე დაყოფილია დაკავებულობების მიხედვით. თითოეულ სართულზე დაკავებულობების ფართობის ჯამური მაჩვენებელი გასასვლელი საშუალებების ფართობებთან და სხვა ელემენტებთან ერთად არ ცდება **503 ცხრილში** მითითებულ სართულების ფართობთან დაკავშირებულ ზღვრებს.
შენობის სიმაღლე მიწის დონიდან შეადგენს **34.80** მეტრს, ხოლო შენობის დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან **29.55 მ-ზე,** ანუ 23.00 მ-ზე მაღლა და შესაბამისად, „წესების“ განმარტების მიხედვით საპროექტო შენობა არის მაღლივი.
საპროექტო შენობის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ **503 ცხრილის** მოთხოვნებს.

წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, დერეფნებთან

დაკავშირებული შეზღუდვების და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.

- წესების **მე-10 თავის 1021.2 ქვეთავის** და **1021.2(2)** ცხრილებიდან გამომდინარე შენობას ემსახურება ორი გასასვლელი ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბე.

გასასვლელები განაწილებულია შემდეგნაირად:
მიწის დონის ქვედა -3.00 განთავსებული ღია ავტოსადგომის - გარაჟის **(სწ-2)** საერთო დაკავებულობის დატვირთვით - 25) სამხრეთი და აღმოსავლეთი ფასადი ღია არის, შესაბამისად სამხრეთი და აღმოსავლეთი ფასადის მხრიდან ხორციელდება ამ სივრციდან გამოსვლა. (გასასვლელამდე მისადგომი მაქს. სავალი მანძილი ნაკლებია 23-მ-ზე).
±0.00 მ ნიშნულზე განლაგებულ სავაჭრო ჯგუფის **სვ** დაკავებულბებს - სავაჭრო ფართს N1-ს ემსახურება მოთხოვნილი ორი გზა-კარი, სავაჭრო ფართს N2-ს ემსახურება 2 გზა-კარი.
ორ კარს შორის მანძილი აღემატება ფართობის საერთო დიაგონალის სიგრძის ნახევარს, რაც შეესაბამება **1015.2.1 ქვეთავს.**
+4.00 მ ნიშნულზე განლაგებულ საქმიანი ჯგუფის **სქ** დაკავებულობებს N1-ს და N2-ს - ემსახურებათ მოთხოვნილი ორი გზა-კიბე, რომლებიც მოწყობილია **1009 ქვეთავის** შესაბამისად.
საცხოვრებელი ჯგუფის **სც-2** დაკავებულობებს +4.00 ნიშნულიდან +26.40 ნიშნულის ჩათვლით (ს.დ.დ.= +4.00 ნიშნ-ზე - **15** დაკავებულობა, სქ დაკავებულობა - **12**, ჯამში **27** დაკავებულობა.
(ს.დ.დ. = +7.20 ნიშნულიდან +26.40 ნიშნულამდე თითო სართულის დაკავებულობა 21 და 22) ემსახურებათ ორი გასასვლელი - ორი გზა-კიბე, რომლებიც გადის პირდაპირ შენობის გარეთ და უსაფრთხო ბილიკით უკავშირდებიან საზოგადოებრივ სივრცეს.

გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 60.00 მ-ს.
ვინაიდან შენობა არის მაღლივი, ორივე გზა-კიბე არის დაუკვამლიანებელი შემოზღუდული სივრცე, რომელსაც აქვს ვესტიბიული და დანარჩენი სივრცეებისგან შემოზრუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის შემომზღუდავებით. გზა-კიბის შემომზღუდავებში მდებარე ღიობები დაცულია 1.5 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე კარის ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს **716.5 ცხრილის** მოთხოვნებს.

შიგა გასასვლელის გზა-კიბეები აკმაყოფილებს წესების **403.5.1 ქვეთავის** მოთხოვნებს შიგა გასასვლელის გზა-კიბეების დაშორებასთან დაკავშირებით და **403.5.4 ქვეთავის** მოთხოვნებს გასასვლელების კვამლგაუმტარ შემოზღუდვასთან დაკავშირებით.

შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის და გასასვლელის კომპონენტების ზომები გათვალისწინებულია **მე-10 თავის** შესაბამისად.
ბოლო სართულიდან სახურავის ზედაპირზე მოხვედრა შესაძლებელია გზა-კიბის მეშვეობით.

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია **1009 ქვეთავის** შესაბამისად.
გზა-კიბის სიგანე განსაზღვრულია **1009.4 ქვეთავის** და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.1. ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი **(7.6).** პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია - 1.20 მ (მოაჯირებს შორის) სიგანის გზა-კიბე და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისთვის. კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარეს მოწყობილია მოაჯირები **1013 ქვეთავის** შესაბამისად, ხოლო კედლის მხარეს **სახელურები 1012 ქვეთავის** მოთხოვნათა დაცვით. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს **1009.7.2 ქვეთავის** მოთხოვნებს. გზა-კიბეების ბაქნების ზომები შეესაბამება **1009.8 ქვეთავის** მოთხოვნებს;
გასასვლელების სისტემაში შემავალი დერეფნები მოწყობილია **1018 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. დერეფნის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1018.2 ქვეთავის** და თითოეულ სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით.
დერეფნების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2. ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (5.1 მმ). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია 1.60 მ სიგანის.
გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის

გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2. ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი **(5.1 მმ).** ყველა კარი აკმაყოფილებს განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნას, სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს 82 სმ-ზე მეტ თავისუფალ სიგანეს.
დერეფანში დამონტაჟებულია კვამლგამწოვი ვენტილაციის სისტემა.

გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

6. მისაწვდომობის შეფასება

მე-11-ე თავის მიხედვით, გეგმებზე მითითებულია მისაწვდომობის სვლაგეზი **(1104 ქვეთავი),** გათვალისწინებულია მისაწვდომი შესასვლელი, რომლებიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მისაწვდომობას. -3.00, +0.00 და +4.00 ნიშნულებზე განლაგებული სასაწყობე **(სწ-2),** სავაჭრო **(სვ)** და საქმიანი **(სქ)** დაკავებულობები მისაწვდომია, ასევე მოწყობილია მისაწვდომი ტუალეტი შშმ პირთათვის და აკმაყოფილებს **1109.2 ქვეთავის** მოთხოვნებს.
მოწყობილია მისაწვდომი გზა-კიბეები, რომლის თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის ტოლია 1.20 მეტრის, მოწყობილი აქვს ტამბურები, სადაც ყველა იატაკის დონეზე მოიცავს თავშესაფრის ფართობს, რაც შეესაბამება **1007.3 ქვეთავის** მოთხოვნებს.
შენობის ყველა დაკავებული დონე არის მისაწვდომი, მათზე მოხვედრა შესაძლებელია ლიფტის საშუალებით. ლიფტის კაბინა გაბარიტების მიხედვით, არის მისაწვდომი და აკმაყოფილებს **1109.7** ქვეთავის მოთხოვნებს.
სც-2 ჯგუფის დაკავებულობებში მისაწვდომი საცხოვრებელი ერთეული განთავსებულია **1107.6.2.1.1** ქვეთავის მიხედვით. შშმ პირებისთვის განკუთვნილი საცხოვრებელი ერთეულების რაოდენობა უნდა იყოს ბინების საერთო რაოდენობის 2%, რადგან ბინების რაოდენობა შეადგენს **45** ერთეულს, აქედან გამომდინარე გათვალისწინებულია **1** მისაწვდომი **ა ტიპის** ბინის მოწყობა, ხოლო დანარჩენი ბინები **ბ ტიპისაა.**

სწორად არის განსაზღვრული მისაწვდომი სვლაგეზი და აკმაყოფილებს **1104 ქვეთავის** მოთხოვნებს;
დაცულია აგრეთვე **1106.1 ქვეთავის** და შესაბამისი ცხრილის მოთხოვნა **(მინიმუმ 2)** და გათვალისწინებულია **ორი** ავტოსადგომი.

ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია, არის მისაწვდომი. შშმ პირთა გადაადგილება საზოგადოებრივი სივრციდან შენობამდე და პირიქით შესაძლებელია დაუბრკოლებლად.

„ტექნიკური რეგლამენტი - მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“ არქიტეტურული, სანებართვო დოკუმენტაციის შესაბამისობა

საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული, სანებართვო პროექტის საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებასთან „ტექნიკური რეგლამენტის - მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ დამტკიცების თაობაზე შესაბამისობის შეფასებას. საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ემუხლით (მუხლი 47." არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა") განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

შენიშვნები

- დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბმისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.
- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.
- დამკვეთი ვალდებულია შენობა-ნაგებობის მშენებლობა და შემდგომი ექსპლუატაციის პროცესი განახორციელოს წინამდებარე დასკვნის შესაბამისად და დასკვნაში აღნიშნული შენიშვნა-რეკომენდაციების გათვალისწინებით.
- საპროექტო შენობის არქიტექტურული დოკუმენტაციის ისეთი კორექტირება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.

1. **შენობების ბლოკების შეფასება**
2. **მისაწვდომობის სვლაგეზის შეფასება**
3. **ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები**

4. **წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობების შეფასება**
5. **საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციების შეფასება**
6. **ჩაშენებული ავეჯი და მოწყობილობები**
7. **საცხოვრებელი ერთეულები და საძინებელი ერთეულები**

1. **შენობების ბლოკების შეფასება**

საპროექტო შენობის იატაკი არის მყარი, მდგრადი და არასრიალა მასალით დაფარული. თითოეულ მისაწვდომ სივრცეში მოწყობილია **304.3.1 ქვეთავის** მიხედვით მოსატრიალებელი სივრცეები 1700 მმ. დიამეტრით. გადაფარვა არ აღემატება **304.3.1.1 ქვეთავით** განსაზღვრულ 250 მმ.-ს. ყველა მოსაბრუნებელი სივრცე აკმაყოფილებს **304 ქვეთავის** მოთხოვნებს. იატაკის თავისუფალი სიგანე შენობის ყველა მისაწვდომ სივცეში აკმაყოფილებს **305.3.1 ქვეთავის** მოთხოვნებს. თავისუფალი სივრცე მუხლის სიმაღლემდე და ფეხის ფალანგისთვის აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, ყველა შესაბამის მოწყობილობასთან დანადგართან და ავეჯთან გათვალისწინებულია **306 ქვეთავით** მოთხოვნილი სივრცეები.

2. **მისაწვდომობის სვლაგეზის შეფასება**

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით საზოგადოებრივი სივრციდან შენობის მისაწვდომ შესასვლელებამდე და უშუალოდ საპროექტო შენობაში უზუნველყოფილია მისაწვდომი სვლაგეზის მოწყობა, რომელიც აკმაყოფილებს წესების და მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების (შემდგომში „სტანდარტები“) **402-ე ქვეთავის** მოთხოვნებს. საპროექტო შენობის მიწის დონის ქვედა და ზედა სართულებზე მისაწვდომი სვლაგეზი უზუნველყოფილია ლიფტების მეშვეობით, რომლებიც აკმაყოფილებს სტანდარტების **407-ე ქვეთავის** მოთხოვნებს.

საპროექტო შენობის ყველა სართულზე, მოწყობილია სტანდარტების **403.5 ქვეთავით** განსაზღვრული მინიმალური თავისუფალი სიგანის მქონე მისაწვდომი სვლაგეზები, რომლებიც რიგ შემთხვევაში ასრულებენ 90 გრადუსიან ბრუნს სტანდარტების **403.5.3.1 ქვეთავის** მოთხოვნების დაცვით და სრულდებიან **304 ქვეთავის** მოთხოვნების მიხედვით დაგეგმარებული მოსატრიელებელი სივრცეებით.

მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები მოწყობილია დონეთა ცვლილების გარეშე უწყვეტად საზოგადოებრივი სივრციდან შენობის მიმართულებით, შენობაში მოწყობილი

კარები და ბილიკები აკმაყოფილებს **402-403 ქვეთავის** მოთხოვნებს. კარი და გზა-კარის თავისუფალი სიგანისა და კართან მანევრირების თავისუფალი სივრცის მიმართ მოთხოვნები გათვალისწინებულია **404 ქვეთავისა** და ამავე ქვეთავში არსებული ცხრილების **404.2.3.2** და **404.2.3.3** შესაბამისად.

